№ 25/01
25.01.2023 წ.

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტოს
უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „მეგალაიფ ჯორჯია"-ს (ს/კ 448057566) მიერ დაგეგმილია ქ.ბათუში, ადლიას (კახაბერი) დასახლებაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:№05.32.06.188) განთავსებულ შენობა-ნაგებობებში საკვები მცენარეული ზეთების ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

შ.პ.ს. „მეგალაიფ ჯორჯია"-ს (ს/კ 448057566) დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 10.3 ქვეპუნქტით (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას და ამ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით ხორციელდება სკრინინგის პროცედურა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.ბათუში, ადლიას (კახაბერი) დასახლებაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:№05.32.06.188) განთავსებულ შენობა-ნაგებობებში საკვები მცენარეული ზეთების ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შედგენილ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. ქ. ბათუში, ადლიას (კახაბერი) დასახლებაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:№05.32.06.188) განთავსებულ შენობა-ნაგებობებში საკვები მცენარეული ზეთების ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში.

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

როსტომ მიქელაძე ----------

შ.პ.ს. „მეგალაიფ ჯორჯია"-ს დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„26" 01 2023 წ.
№ 519